2022

შპს დაგი+

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შპს დაგი+

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3-5

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 6
სრული შემოსავლის ანგარიშგება 7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა 10
2. მომზადების საფუძველი 10
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 20
5. ძირითადი საშუალებები 24
6. სასაქონლო მატერიალური მარაგები 25
7. სავაჭრო მოთხოვნები 25
8. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 25
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 25
10. მიღებული სესხები 26
11. საგადასახდო ვალდებულებები 26
12. შემოსავალი 26
13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 27
14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 27
15. მიწოდების ხარჯი 28
16. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი 28
17. ფინანსური შემოსავალი და ხარჯი 28
18. კაპიტალი 29
19. პირობითი ვალდებულებები 29
20. ფინანსური რისკები 29
21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 32

მმართველობითი ანგარიშგება 33

MacroAudit
Helping You Grow
თბილისი,საქართველო 0186 ვაჟა-ფშაველას IIკვ.კორ.9-ა.VAZHA-PSHAVELA AVE, QT II, N9-A, 0186 . TBILISI, GEORGIA.

WEBSITE: MACROAUDIT.GE E-MAIL: MACROAUDITI@GMAIL.COM ტელ.: 599 22 55 81; . ს/კ 401964095

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „დაგი + “ -ის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:
მოსაზრება

მოსაზრება ჩვენ ჩავატარეთ შპს ,,დაგი+”ი-ს (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, საკუთარ კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისათვის, რომელიც დასრულებულია მოცემული თარიღით და შეესაბამება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტს (მსს ფასს).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - ’’აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე’’ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად

მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მომზადებულ ,,მმართველობით ანგარიშგებას“, (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის ანგარიშს), მოსაზრება ფინანსური ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, მათ შორის

'მმართველობით ანგარიშგებას'. ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია და განვსაზღვროთ ეს სხვა ინფორმაცია ხომ არ არის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან ჩვენს მიერ აუდიტის ფარგლებში მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობას. ამასთან, ჩვენ მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, 'მმართველობითი ანგარიშგების' გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, ,,მმართველობითი ანგარიშგება" მოიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოთხოვნილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

მოსაზრება სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების თაობაზე

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას. პროცედურები შევასრულეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე. ჩვენი აზრით: რომელიც ეყრდნობა აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოებს :

- მმართველობის ანგარიშში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, შეესაბამება ფინანსური ანგარიშგებას; და
- მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია შესაბამისობაშია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან.

დასკვნა

სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2022 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შეესაბამება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ლელა სამყურაშვილი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-225978)

შპს „მაკროაუდიტი" (SARAS-F-265122)

2023 წლის 27 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

ხელმომწერი პირი:

დირექტორი

მიმდინარე აქტივები	**შენიშვნა**	**2 022**	**2 021**	**2 020**
ფული და ფულის ექვივალენტები	8	46 598	2 583 999	3 419 173
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	2 724 803	2 597 535	742 606
მარაგები	6	629 481	898 250	895 600
საგადასახადო აქტივი		43 381	423 577	-
სულ მიმდინარე აქტივები		**3 444 263**	**6 503 361**	**5 057 379**
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	8 874 587	5 657 113	4 141 607
არამატერიალური აქტივები		161 119	151 061	742
სულ გრძელვადიანი აქტივები		**9 035 706**	**5 808 174**	**4 142 349**
სულ აქტივები		**12 479 969**	**12 311 535**	**9 199 728**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	18	200	200	200
გაუნაწილებელი მოგება	18	6 364 536	7 808 121	6 404 416
სულ კაპიტალი		**6 364 736**	**7 808 321**	**6 404 616**
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	2 503 653	4 311 915	2 303 389
ფინანსური იჯარა		-	111 450	491 723
საგადასახადო ვალდებულებები	11	19 528	79 849	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**2 523 181**	**4 503 214**	**2 795 112**
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული გრძელვადიანი სესხები	10	3 592 052	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები		**3 592 052**	**-**	**-**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**12 479 969**	**12 311 535**	**9 199 728**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 20 სექტემბერს:

გიგა ფალიანი	მარინა გორდაძე
დირექტორი	**ბუღალტერი**

დართული შენიშვნები 10-30 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „დაგი+“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

მიმდინარე აქტივები	**შენიშვნა**	**2 022**	**2 021**	**2 020**
ფული და ფულის ექვივალენტები	8	46 598	2 583 999	3 419 173
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	2 724.803	2 597 535	742 606
მარაგები	6	629 481	898 250	895 600
საგადასახადო აქტივი		43 381	423 577	-
სულ მიმდინარე აქტივები		**3 444 263**	**6 503 361**	**5 057 379**
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	8 874 587	5 657 113	4 141 607
არამატერიალური აქტივები		161 119	151 061	742
სულ გრძელვადიანი აქტივები		**9 035 706**	**5 808 174**	**4 142 349**
სულ აქტივები		**12 479 969**	**12 311 535**	**9 199 728**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	18	200	200	200
გაუნაწილებელი მოგება	18	6 364 536	7 808 121	6 404 416
სულ კაპიტალი		**6 364 736**	**7 808 321**	**6 404 616**
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	2 503 653	4 311 915	2 303 389
ფინანსური იჯარა		-	111 450	491 723
საგადასახადო ვალდებულებები	11	19 528	79 849	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**2 523 181**	**4 503 214**	**2 795 112**
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული გრძელვადიანი სესხები	10	3 592 052	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები		**3 592 052**	**-**	**-**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**12 479 969**	**12 311 535**	**9 199 728**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 20 სექტემბერს:

გიგა ფალიანი	მარინა გორდაძე
დირექტორი	**ბუღალტერი**

დართული შენიშვნები 10-30 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნა	**2022**	**2021**	**2020**
შემოსავალი	12	26 644 867	24 113 477	17 603 420
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(20 018 624)	(16 507 053)	(12 331 745)
საერთო მოგება		**6 626 243**	**7 606 424**	**5 271 675**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(4 457 199)	(4 653 982)	(2 483 602)
მიწოდების და სხვა ხარჯები	15	(1 497 118)	(904 311)	(361 450)
საოპერაციო მოგება		**671 926**	**2 048 132**	**2 426 622**
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	16	115 797	71 647	152 102
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	16	(158 766)	(69 668)	(57 431)
ფინანსური შემოსავალი	17	163 139	96 556	-
ფინანსური ხარჯი	17	(54 948)	-	(8 772)
კურსთაშორის სხვაობა		9 026	7 749	(24 026)
მოგება დაბეგვრამდე		**746 174**	**2 154 416**	**2 488 495**
მოგების გადასახადის ხარჯი		(328 464)	(112 607)	(232 629)
წმინდა მოგება		**417 710**	**2 041 809**	**2 255 867**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 20 სექტემბერს:

გიგა ფალიანი	მარინა გორდაძე
დირექტორი	**ბუღალტერი**

დართული შენიშვნები 10-30 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს "დაგი+"
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2022	2021	2020
შემოსავალი	12	26 644 867	24 113 477	17 603 420
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(20 018 624)	(16 507 053)	(12 331 745)
საერთო მოგება		**6 626 243**	**7 606 424**	**5 271 675**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(4 457 199)	(4 653 982)	(2 483 602)
მიწოდების და სხვა ხარჯები	15	(1 497 118)	(904 311)	(361 450)
საოპერაციო მოგება		**671 926**	**2 048 132**	**2 426 622**
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	16	115 797	71 647	152 102
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	16	(158 766)	(69 668)	(57 431)
ფინანსური შემოსავალი	17	163 139	96 556	-
ფინანსური ხარჯი	17	(54 948)	-	(8 772)
კურსთაშორის სხვაობა		9 026	7 749	(24 026)
მოგება დაბეგვრამდე		**746 174**	**2 154 416**	**2 488 495**
მოგების გადასახადის ხარჯი		(328 464)	(112 607)	(232 629)
წმინდა მოგება		**417 710**	**2 041 809**	**2 255 867**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 20 სექტემბერს:

გიგა ფაღლანი	მარინა გორდაძე
დირექტორი	**ბუღალტერი**

დართული შენიშვნები 10-30 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	საწესდებო კაპიტალი	**გაუნაწილებელი მოგება**	**სულ**
2020წლის 31 დეკემბერი	**200**	**6 404 416**	**6 404 616**
მოგება წლის ბოლოს		**2 041 809**	**2 041 809**
გაცემული დივიდენდი		(638 105)	(638 105)
შევსება	271 500	-	271 500
გატანა	(271 500)	-	(271 500)
2021წლის 31 დეკემბერი	**200**	**7 808 121**	**7 808 321**
მოგება წლის ბოლოს		417 710	417 710
გაცემული დივიდენდი		(1 861 295)	(1 861 295)
შევსება		-	-
გატანა		-	-
2022წლის 31 დეკემბერი	**200**	**6 364 536**	**6 364 736**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 20 სექტემბერს:

გიგა ფალიანი	მარინა გორდაძე
დირექტორი	**ბუღალტერი**

დართული შენიშვნები 10-30 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს "დაგი+"
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2020წლის 31 დეკემბერი	**200**	**6 404 416**	**6 404 616**
მოგება წლის ბოლოს		**2 041 809**	**2 041 809**
გაცემული დივიდენდი		(638 105)	(638 105)
შევსება	271 500	-	271 500
გატანა	(271 500)	-	(271 500)
2021წლის 31 დეკემბერი	**200**	**7 808 121**	**7 808 321**
მოგება წლის ბოლოს		417 710	417 710
გაცემული დივიდენდი		(1 861 295)	(1 861 295)
შევსება		-	-
გატანა		-	-
2022წლის 31 დეკემბერი	**200**	**6 364 536**	**6 364 736**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 20 სექტემბერს:

გიგა ფალიანი	მარინა გორდაძე
დირექტორი	**ბუღალტერი**

დართული შენიშვნები 10-30 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	2 022	2 021
რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	25 155 892	24 612 505
თანხის დაბრუნება მომწოდებლისგან	93 670	109 939
მიღებული ფულადი სახსრები	**25 249 562**	**24 722 444**
თანხის დაბრუნება მყიდველთან	(32 415)	(25 000)
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(21 165 430)	(21 961 056)
საბიუჯეტო გადასახადი	(1 238 865)	(2 002 084)
მიღებული ავანსი	1 350 000	2 706 840
ხელფასის გადახდა	(2 165 838)	(1 743 241)
საბიუჯეტო გადასახადის მიღება	90 154	-
ავანსის გაცემა მომწოდებელზე	(867 017)	(320 881)
შემოტანილი თანხის დაბრუნება	-	(37 000)
გადახდილი ფულადი სახსრები	**(24 029 411)**	**(23 382 422)**
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**1 220 151**	**1 340 022**
საპროცენტო შემოსავალი	163 139	96 556
კაპიტალის შევსება	-	271 500
სესხის მიღება	4 247 045	-
კურსთაშორის სხვაობა	10 037	(3 263)
მიღებული სესხის ძირის დაფარვა	(652 371)	-
საბანკო გარანტიის გადახდა	(129 690)	(146 037)
პროცენტის გადახდა	(73 741)	(621)
ფინანსური იჯარის გადახდა	(13 760)	(8 960)
დივიდენდის გადახდა	(1 768 230)	(606 200)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო	**1 782 430**	**(397 024)**
ძირითადი საშუალებების შეძენა	(5 539 981)	(1 778 173)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(5 539 981)	(1 778 173)
წმინდა ფულადი სახსრები ყველა საქმიანობიდან	**(2 537 400)**	**(835 175)**
ფული წლის დასაწყისში	**2 583 999**	**3 419 173**
ფული წლის ბოლოს	**46 598**	**2 583 999**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 20 სექტემბერს:

გიგა ფალიანი	მარინა გორდაძე
დირექტორი	**ბუღალტერი**

დართული შენიშვნები 10-30 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	2 022	2 021
რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	25 155 892	24 612 505
თანხის დაბრუნება მომწოდებლისგან	93 670	109 939
მიღებული ფულადი სახსრები	**25 249 562**	**24 722 444**
თანხის დაბრუნება მყიდველთან	(32 415)	(25 000)
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(21 165 430)	(21 961 056)
საბიუჯეტო გადასახადი	(1 238 865)	(2 002 084)
მიღებული ავანსი	1 350 000	2 706 840
ხელფასის გადახდა	(2 165 838)	(1 743 241)
საბიუჯეტო გადასახადის მიღება	90 154	-
ავანსის გაცემა მომწოდებელზე	(867 017)	(320 881)
შემოტანილი თანხის დაბრუნება	-	(37 000)
გადახდილი ფულადი სახსრები	**(24 029 411)**	**(23 382 422)**
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**1 220 151**	**1 340 022**
საპროცენტო შემოსავალი	163 139	96 556
კაპიტალის შევსება	-	271 500
სესხის მიღება	4 247 045	-
კურსთაშორის სხვაობა	10 037	(3 263)
მიღებული სესხის ძირის დაფარვა	(652 371)	-
საბანკო გარანტიის გადახდა	(129 690)	(146 037)
პროცენტის გადახდა	(73 741)	(621)
ფინანსური იჯარის გადახდა	(13 760)	(8 960)
დივიდენდის გადახდა	(1 768 230)	(606 200)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო	**1 782 430**	**(397 024)**
ძირითადი საშუალებების შეძენა	(5 539 981)	(1 778 173)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(5 539 981)	(1 778 173)
წმინდა ფულადი სახსრები ყველა საქმიანობიდან	**(2 537 400)**	**(835 175)**
ფული წლის დასაწყისში	**2 583 999**	**3 419 173**
ფული წლის ბოლოს	**46 598**	**2 583 999**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 20 სექტემბერს:

გიგა ფალიანი	მარინა გორდაძე
დირექტორი	**ბუღალტერი**

დართული შენიშვნები 10-30 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ძირითადი საქმიანობა

(ა) *ორგანიზაცია და ოპერაციები*

შპს „დაგი+“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 2010 წლის 3 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია ოპერირებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. კომპანიის სარეგისტაციო ნომერია: 412671657.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გზებისა და ავტობანების მოვლა-შენახვა და რეაბილიტაცია.

2022.2021 და 2020წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კომპანიის მფლობელი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გიგა ფალიანი	33%	33%	33%
დავით გოგრიჭიანი	34%	34%	34%
მერაბ ყიფიანი	33%	33%	33%

ამ ანგარიშგების გამოშვების მომენტში კომპანიის დირექტორი არის გიგა ფილიანი.

(ბ) *ბიზნეს გარემო*

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა მათი ინტერპრეტირება განსხვავებულად ხდება და ისინი ხშირად ექვემდებარებიან ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს პირველ სრულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია კომპანიის მიერ,მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტს (მსს ფასს) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომელიც გამოცემულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს („სბსს“) მიერ, რომელიც ძალაშია 2022 საანგარიშგებო პერიოდისთვის.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა:

- ფინანსური აქტივებისა და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების, წარმოებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, და საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულებით შეფასებისა;

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

- სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესის შეფასებისა.

(გ) საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის საოპერაციო ვალუტაა ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ერთეულამდე. წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

(ე) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის სამომავლო გეგმები, რომელიც მდგომაროებს მისი საქმიანობის შესწავლა განვითარებაზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია ფუნქციონირებადობის საფრთხე და საქმიანობა გაგრძელდება ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ თორმეტი თვის განმავლობაში. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

(ვ) ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური დეპარტამენტისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანია შეიმუშაოს ისეთი პოლიტიკა, რომლიც უზრუნველყოფს შეამციროს რისკები მისაღებ დონემდე და ამასთანავე მისი გამოყენებით მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ

(ზ) შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საანგარიშგებო პერიოდი კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

(ა) ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება

ძირითადი საშუალებები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით.

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ძირითადი ან ადმინისტრაციული საქმიანობისთვის, გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარებაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომლებიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

შემდგომი შეფასება / აღრიცხვა

აქტივად აღიარების შემდგომ ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულების მოდელით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით ან/და გაუფასურების ღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაშიშემცირებადი ნაშთის მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

***(ა) ძირითადი საშუალებები** (გაგრძელება)*

ძირითადი საშუალების ჯგუფი	*სასარგებლო პერიოდის ვადა*
მანქანა-დანადგარები	10-15 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი
შენობა ნაგებობე	40 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10 წელი
მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა	არ იცვითება

საჭიროების შემთხვევაში, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ხდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა.

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც კომპანია მიიღებდა აქტივების გასხვისებიდან, გამოკლებული გასხვისების სავარაუდო ხარჯები, თუ აქტივი უკვე ხანდაზმულია და იმყოფება მისი საექსპლუატაციო პერიოდის დასრულებისას მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და საექსპლუატაციო ვადა გადაიხედება და, თუ საჭიროა, კორექტირდება თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს.

(ბ) არამატერიალური აქტივი

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები ფასდება მათი პირველადი აღიარებისას თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივი აღირიცხება შეძენის ფაქტობრივ ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ცვეთის დარიცხვა სხვა არამატერიალურ აქტივებზე ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით
10%-იანი განაკვეთის საფუძველზე
:

არამატერიალური აქტივი	*სასარგებლო პერიოდის ვადა*
ლიცენზიები	სასარგებლო ვადის მიხედვით
პროგრამები	10 წელი

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე და ხდება მისი შეფასება გაუფასურებაზე, როდესაც არსებობს ნიშანი, რომ არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურდეს. საამორტიზაციო პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი, არამტერიალური აქტივისთვის შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადით გადაიხედება სულ მცირე თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(გ) არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

(დ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველაზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

ყოველ საანგარიშო თარიღზე, სასაქონლო-მატერილური მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგები გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასამდე, გამოკლებული სარეალიზაციო ხარჯები და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

(ე) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

თავდაპირველი აღირება

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

თავდაპირველი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებლო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივი და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელიდან და სახელშეკრულებლო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ე) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები *(გაგრძელება)*

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ამორტიზირებული ღირებულებით

კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სხვა ფინანსური ინვესტიციების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცუხლი პროცენტის გადახდებს.

ზემოთხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ბიზნესმოდელის შეფასება

კომპანიის ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად.

კომპანიის ბიზნესმოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორიც არის, მაგალითად:

- როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);
- მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით კომპანიის მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნესმოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულოებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარადა ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია).ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი.

ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშკერულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშკერულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ე) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები *(გაგრძელება)*

დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია

ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც კომპანია შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღირება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

(ვ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავაპირველად აღიარებულია გარიგების ღირებულებით. ისინი შემდეგ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი დგინდება, როდესაც არის ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის ამოღებას მოთხოვნების თავდაპირელი ვადების შესაბამისად.

(ზ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გამოყენებით. კომპანია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების გაუფასურებას ახდენს ფასს-9 ის შესაბამისად.

(თ) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

(ი)მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები
გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები აისახება მიმდინარედ, თუ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ავანსის მიღება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს არამიმდინარე აქტივთან, ავანსი აისახება გრძელვადიან აქტივებში და აქტივზე კომპანიის მხრიდან კონტროლის დამყარებისთანავე გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ამასთან უნდა არსებობდეს ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება საქონლის ან მომსახურების მიღებისას.

(კ)მიღებული სესხები

მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯები რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის შეძენას, აშენებას ან წარმოებას, რასაც აუცილებლად სჭირდება დროის დიდი პერიოდი, რათა მზად იყოს თავისი ფუნქციური გამოყენებისათვის ან გაყიდვისათვის, კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის ღირებულების ნაწილი. ყველა სხვა სასესხო ხარჯები ჩაითვლება ხარჯებში იმ პერიოდისათვის, როდესაც ისინი ხორციელდება. სასესხო ხარჯები შედგება სარგებლისა და სხვა ხარჯებისგან, რასაც პირი გასწევს თანხების სესხებასთან დაკავშირებით.

კომპანიას მიღებული სესხები აქვს ფინანსური ინსტიტუტებიდან ძირითადი საქმიანობების დასაფინანსებლად.დამატებითი დეტალები მიღებული სესხების შესახებ განხილულია მე-10 შენიშვნაში.

(ლ) იჯარები

კომპანია აფასებს ხელშეკრულების დაწყებისას ხელშეკრულება, არის თუ არა იგი მთლიანად იჯარა ან შეიცავს თუ არა იჯარას, ანუ, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს იდენტიფიცირებული აქტივის სარგებლობის კონტროლის უფლებას პერიოდის განმავლობაში.

კომპანის როგორც მოიჯარე

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის.

საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივის გამოყენების უფლება

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით და უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთის გამოკლებით. აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონიმიკური ვადის განმვალობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა.

საიჯარო ვალდებულება

იჯარის ვადის დაწყების თარიღით, კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებას რომლებიც იზომება საიჯარო გადასახადის დღევანდელ ღირებულებაში, რომელთა გადახადა უნდა მოხდეს საიჯარო ვადის განმავლობაში.საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით,ინდექსებზე ან განაკვეთებზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს და თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით.საიჯაორ გადახდები აგრეთვე მოიცავს შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად საწრმუნოა, რომ კომპანია გამოიყენებს ამ უფლებას და იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს კომპანიის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩვანის გამოყენების უფლების გამოყენებას. იჯარის გადახდების დღევანდელი ღირებულების გაანგარიშებისას,კომპანია იყენებს ზღვრულ საპროცენტო განაკვეთს იჯარის ვადის დაწყების პერიოდისთვის, რადგან იჯარაში ნაგულისხმები საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეუძლებელია. როდესაც კომპანია ცვლის იჯარის ვადას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა იჯარის გახანგრძლივების, ან შეწყვეტის უფლება), საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

მოკლევადიანი იჯარა და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივი

კომპანია იყენებს მოკლევადიან იჯარებთან მიმართებით აღიარებიდან განთავისუფლებას იმ საიჯარო ხელშეკრულების მიმართ რომელთა ვადა იჯარის ვადის დაწყების თარიღისათვის შეადგენს არაუმეტეს 12 თვეს და არ მოიცავს საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას. კომპანიას მსგავსი ტიპის საიჯარო ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს შენობა-ნაგებობების იჯარისთვის. იგი ასევე იყენებს იჯარის აღიარების განთავისუფლებას იმ იჯარების მიმართ, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს, რომელთა და მსგავსი ტიპის საიჯარო ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს შენონების იჯარისთვის.

(მ) კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

(ნ) ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან

კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან. კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:
- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

(ო) ხარჯის აღიარება

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

(პ)დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები;
- წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტინის ანაზღაურება;
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულ პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კოსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

(ჟ) მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ინდივიდუალურად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმვალობაში;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გმოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორ გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმვალობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში;ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

ვ) დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების საწყისი აღიარება

ჩვეულებრივი საქმიანობის დროს კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. გადაწყვეტილება მიიღება იმის განსაზღვრით, არის თუ არა ტრანზაქციები შეფასებული საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით, სადაც არ არის აქტიური ბაზარი ასეთი ოპერაციებისთვის. მოსაზრების საფუძველს წარმოადგენს ოპერაციათა ანალოგიური სახეობის ფასწარმოქმნა არადაკავშირებულ მხარეებთან და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

(რ) დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი გადახდილი უნდა იყოს საგადასახადო ორგანოებისთვის საქონლის ან მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას. ჩასათვლელი დღგ ზოგადად ამოღებადია გამომსვლელი დღგ-ს მიმართ დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს გადახდის ნებას რთავენ წმინდა საფუძველზე. ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც მოთხოვნების გაუფასურებისთვის შექმნილია რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მომავალის მთლიან თანხაზე, დღგ-ს ჩათვლით.

(ს) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს, რომელიც არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებულია წინა წლებთან.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა: ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად.

15% მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივი მოგებიდან გადასახდს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.

დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების

განაწილების გარდა, გადასახადი გადახდილ უნდა იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივებიდან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც არ აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ

სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გარდა საგადასახადო შეღავათებისა, რომლებიც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

საქართველოს საგასასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

(ტ) საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

(უ) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2022	**31 დეკემბერი, 2021**
1 USD/GEL	2,7020	3,0976
წლის საშუალო გაცვლითი კურსი	**2020**	**2019**
1 USD/GEL	3,2766	2,8677

4.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მ კომპანია ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ

ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით.

აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა, ასევე, მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც, შესაძლოა, განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადები

ძირითადი საშუალებები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი

.

4. მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და დაშვებები(გაგრძელება)

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2022 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2021 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს ჯგუფის 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

• **ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება: 2018-2020 ციკლი**. 2020 წლის მაისში IASB-იმ გამოაქვეყნა შემდეგი სტანდარტების მცირე შესწორებები: ფასს 1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება, ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები, ბასს 41 სოფლის მეურნეობა და ფასს 16 იჯარის საილუსტრაციო მაგალითები.

• **კონცეპტუალური მიდგომა (შესწორება - ფასს 3).** 2020 წლის მაისში, IASB-იმ გამოაქვეყნა ფასს 3-ის კორექტირება, რომელიც განაახლებს მითითებას ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებზე ისე, რომ მნიშვნელოვნად არ ცვლის სტანდარტის მოთხოვნებს საწარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებით. შესწორება შეეხება გამონაკლისს საწარმოთა გაერთიანებისას ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების აღიარების ძირითადი მიდგომიდან და ხვდება ბასს 37 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივების და ფასიკ 12 მომსახურებაზე კონცენსიური შეთანხმებების მოქმედების სფეროში.

• **ბასს 37 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები (შესწორება - წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება**). 2020 წლის მაისში IASB-იმ გამოსცა ბასს 37-ის შესწორება, 68ა პარაგრაფის დამატებით რომელიც აკონკრეტებს ხარჯებს, რომელიც გაითვალისწინება ხელშეკრულების შესრულების ღირებულების განსაზღვრისას, რათა შეფასდეს ხელშეკრულება არის თუ არა წაგებიანი. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული შესწორება გამოიწვევს მეტი ხელშეკრულების აღრიცხვას წაგებიან

ხელშეკრულებად, რადგან იზრდება იმ ხარჯების არეალი, რომელთა გათვალისწინებაც უნდა მოხდეს წაგებიანი ხელშეკრულების შეფასებაში.

• ბასს 16 ძირითადი საშუალებები (შესწორება - შემოსავალი აქტივის მიზნობრივ გამოყენებამდე). 2020 წლის მაისში IASB-იმ გამოსცა ბასს 16-ის შესწორება, რომელიც კრძალავს საწარმოს მიერ ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან გამოქვითოს ამავე აქტივით წარმოებული საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, სანამ საწარმო მოცემულ აქტივს ამზადებს მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის. ნაცვლად იმისა რომ მოხდეს აღნიშნულის აქტივის ღირებულებასთან დანეტება, საწარმომ უნდა აღიაროს ასეთ გაყიდვებთან დაკავშირებული შემოსავალი და ხარჯები მოგებასა და ზარალში.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც ჯგუფმა გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები(გაგრძელება)

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

• სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენა (შესწორება- ბასს 1 და ფასს პრაქტიკული ანგარიშგება

1)2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება, რომელიც ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენის მოთხოვნებს „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის“ „არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციით“. მოცემული შესწორება იძლევა მითითებას, იმის შესახებ თუ როდის შეიძლება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია იქნას არსებითად მიჩნეული. აღნიშნული შესწორება ძალაშია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გადასვლა ნებადართულია. რადგან ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2 არ წარმოადგენს სავალდებულო სახელმძღვანელოს, არ

2) მომხდარა სავალდებულო ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრა ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2-ის შესწორებასთან მიმართებაში.
3) **• გადავადებული გადასახადი დაკავშირებული ერთი ტრანზაქციიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან (ბასს 12-ის შესწორება)**.
4) 2021 წლის მაისში, IASB-იმ გამოსცა ბასს 12-ის შესწორება, რომელიც აკონკრეტებს, ვრცელდება თუ არა პირველადი აღიარების გამონაკლისი გარკვეულ ოპერაციებზე, რომლებიც იწვევს როგორც აქტივის ასევე ვალდებულების სიმულაციურად აღიარებას (მაგ: იჯარა ფასს 16-ის შესაბამისად). შესწორების შედეგად ბასს 12.5-ს დაემატა კრიტერიუმი თავდაპირველი აღიარების გათავისუფლებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გათავისუფლება არ ვრცელდება აქტივების ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებაზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარი ოდენობის დასაბეგრ და გამოქვითვად დროებით სხვაობებს.

2024 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

• საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება).

2020 წლის ივნისში ფასს ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა დღის წესრიგის გადაწვეტილება უკუიჯარის პირობით გაყიდვა ცვლად გადასახდელებთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოსცა საბოლოო შესწორება. შესწორების თანახმად გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადასახდელები“ ან „გადახედილი საიჯარო გადასახდელები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ სარგებლობის უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

• ბასს 1 ფინანსური ანგარიშების წარდგენა (შესწორება - ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად, კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები)

2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენტანტებიან გრძელვადიან ვალდებულებებთან მიმართებაშ

შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით. თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების

4. მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და დაშვებები*(გაგრძელება)*

საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს თუ უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, იმ შემთხვევაში თუ საწარმო ვალდებულია შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, თუ საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება ასევე განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით. COVID-19 პანდემიის შედეგად შესწორების ძალაში შესვლის თარიღი გადაიწია ერთი წლით და ეფექტურია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვარიდან.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალო ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

სხვა

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5.ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგია:

საბალანსო ღირებულება	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ლიზინგით აღებული ძირითადი საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	**სულ**
2020 წლის 31 დეკემბერი	**369 846**	**91 209**	**230 436**	**-**	**299 553**	**1 845 930**	**80 102**	**32 427**	**3 191 219**	**6 140 722**
შეძენა	23 597	-	71 656	19 552	1 229 130	412 767	52 812	52 177	869 379	2 731 070
გასვლა/გაყიდვა	-	(91 209)	-	-	(10 835)	(81 989)	(2 386)	(1 834)	(68 950)	(257 202)
2021 წლის 31 დეკემბერი	**393 443**	**-**	**302 093**	**19 552**	**1 517 848**	**2 176 708**	**130 528**	**82 771**	**3 991 647**	**8 614 591**
შეძენა	-	-	-	-	1 710 976	-	12 191	7 610	3 756 360	5 487 137
გასვლა/გაყიდვა	-	-	-	-	(855 290)	(178 753)	(6 683)	(26 571)	(52 865)	(1 120 163)
2022 წლის 31 დეკემბერი	**393 443**	**-**	**302 093**	**19 552**	**2 373 534**	**1 997 955**	**136 036**	**63 809**	**7 695 142**	**12 981 565**
ცვეთა										
2020 წლის 31 დეკემბერი	**-**	**-**	**(107 662)**	**-**	**(90 910)**	**(605 273)**	**(40 857)**	**(8 512)**	**(1 145 900)**	**(1 999 115)**
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	-	-	-	-	6 209	51 681	1 530	1 342	49 438	110 200
ცვეთა	-	-	(38 886)	(3 910)	(206 604)	(284 623)	(9 647)	(12 106)	(512 786)	(1 068 562)
2021 წლის 31 დეკემბერი	**-**	**-**	**(146 548)**	**(3 910)**	**(291 305)**	**(838 215)**	**(48 975)**	**(19 276)**	**(1 609 248)**	**(2 957 477)**
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	-	-	-	-	3 449	114 078	4 461	13 980	44 602	180 569
ცვეტა	-	-	(31 109)	(3 128)	(303 194)	(261 597)	(16 683)	(13 646)	(700 712)	(1 330 069)
2022 წლის 31 დეკემბერი	**-**	**-**	**(177 657)**	**(7 039)**	**(591 050)**	**(985 735)**	**(61 196)**	**(18 943)**	**(2 265 358)**	**(4 106 978)**
ნეტო ღირებულება										
2020 წლის 31 დეკემბერი	**369 846**	**91 209**	**122 775**	**-**	**208 643**	**1 240 657**	**39 245**	**23 915**	**2 045 318**	**4 141 607**
2021 წლის 31 დეკემბერი	**393 443**	**-**	**155 545**	**15 642**	**1 226 543**	**1 338 493**	**81 554**	**63 494**	**2 382 399**	**5 657 113**
2022 წლის 31 დეკემბერი	**393 443**	**-**	**124 436**	**12 513**	**1 782 484**	**1 012 221**	**74 839**	**44 867**	**5 429 784**	**8 874 587**

6.სასაქონლო მატერიალური მარაგები

კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 მდგომარეობით შემდეგია:

	2 022	2 021	2 020
ნედლეული და მასალები	583 125	788 501	354 969
დაუმთავრებელი წარმოება	-	-	487 543
მზა პროდუქცია	37 680	101 280	42 072
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	8 677	8 469	11 016
სულ	**629 481**	**898 250**	**895 600**

7.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 მდგომარეობით შემდეგია:

	2 022	2 021	2 020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2 717 710	2 591 737	737 572
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	7 093	5 799	5 034
სულ	**2 724 803**	**2 597 535**	**742 606**

8.ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 მდგომარეობით შემდეგია:

	2 022	2 021	2 020
ნაღდი ფული სალაროში	284	327	641
ეროვნული ვალუტა ბანკში	46 315	420 829	916 311
უცხოური ვალუტა ბანკში	-	2 162 843	2 502 221
სულ	**46 598**	**2 583 999**	**3 419 173**

9.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 მდგომარეობით შემდეგია:

	2 022	2 021	2 020
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	2 495 650	1 747 821	665 772
მიღებული ავანსები	-	2 562 800	1 637 618
ფ/პ -გან მიღებული მომსახურებები	7 963	-	-
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	40	1 294	-
სულ	**2 503 653**	**4 311 915**	**2 303 389**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი. კომპანიას გააჩნია რისკების მართვის პოლიტიკა, იმისთვის, რომ შესაძლებელი იქნეს ვალდებულებების დროული გადახდა.

10 .მიღებული სესხები

კომპანიის მიღებული სესხები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 მდგომარეობით შემდეგია:

	2 022	2 021	2 020
გრძელვადიანი სესხები	3 592 052	111450-	491723
სულ	**3 592 052**	111450	491723-

2022 წელს მიღებული გრძელვადიანი სესხები შემდეგია

	დაწყები თარიღი	დამთავრების თარიღი	ვალუტა	პროცენტი	თანხა
პროკრედიტ ბანკი	28,02,2022	29,09,2024	ევრო	8,68%	281000
თიბისი ბანკი	18,07,2022	18,07,2024	ევრო	8,33%	505000
თიბისი ბანკი	28,12,2024	19,12,2025	ევრო	6%	620000

11. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31,12,2022	31,12,2021	31,12,2019
საგადასახადო ვალდებულებები	19528	79849	86
სულ	19528	78849	86

12.შემოსავლები

კომპანიის შემოსავლები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 მდგომარეობით შემდეგია:

	2 022	2 021	2 020
ქალაქის ქუჩები	-	-	1 197 910
ორმოული შეკეთება	-	-	610 047
საავტ.გზების დეპარტამენტი	-	-	8 587 329
SMK	-	-	475 342
ა/ტრანს. და მექანიზმ მომსახურეობა	305 079	37 929	441 422
დახაზვა - მონიშვნა	817 472	470 898	656 481
მასალების რეალიზაცია	2 897 132	704 552	115 287
შესრ.სამუშაოს ღირებულება	22 624 294	22 718 217	5 519 602
მომსახურეობის ღირებულება	890	181 881	-
სულ	**26 644 867**	**24 113 477**	**17 603 420**

13.რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზეული პროდუქციის თვითღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 მდგომარეობით შემდეგია:

	2 022	2 021	2 020
ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა	16 332 588	14 869 711	11 334 818
პირდაპირი ხელფასი	1 589 963	1 227 224	898 891
დამხმარე მასალების დანახარჯები/შეძენა	47 824	25 554	28 658
გაყიდული/შეძენილი საქონელი	2 047 252	384 563	69 379
რემონტის დანახარჯები	998	-	-
სულ	**20 018 624**	**16 507 053**	**12 331 745**

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის საერთო და ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 მდგომარეობით შემდეგია:

	2 022	2 021	2 020
შრომის ანაზღაურება	1 071 545	915 742	760 383
სოციალური დანარიცხები	32 573	26 145	18 273
საიჯარო ქირა	332 176	1 287 765	186 297
საოფისე ინვენტარი	88	5 544	1 950
კომუნიკაციის ხარჯები	3 787	2 534	1 515
რემონტი	1 195 922	879 775	514 165
კომპიუტერის ხარჯები	5 560	7 003	3 373
ცვეთა და ამორტიზაცია	1 330 069	1 099 463	733 141
სხვა საგადასახადო ხარჯი	69 810	43 873	32 641
ბანკის საკომისიო	14 569	6 052	4 975
საჯარო და სანოტარო	8 511	396	1 210
სატელეფონო მომსახურეობა	4 850	4 160	3 946
საკანცელარიო	3 200	2 661	2 431
საბანკო გარანტიის საკომისიო	108 162	130 961	45 314
დაცვის მომსახურება	12 797	12 203	12 203
საექსპერტო მომსახუეობის	8 112	3 945	5 280
სატენდერო რეგისტრაციის	709	938	2 059
ლაბორატორიული	86 158	59 614	59 023
ელ.ენერგიის	69 926	73 285	21 451
მომსახურ. ღირებულება	11 499	21 151	12 521
სადაზღვევო	31 725	21 672	15 912
აუდიტ. მომსახურეობა	40 000	40 000	40 212
წყლის ხარჯი	3 130	2 226	1 995
ბუნებრივი აირის	5 474	3 222	3 334
შემ.სამსახ. მომსახურეობის	-	808	-
იურიდიული მომსახურეობა	1 800	150	-
ტექ. დათვალიერება	51	51	-
კოვიდ 19	-	2 643	-
საქველმოქმედო	5 000	-	-
სულ	**4 457 199**	**4 653 982**	**2 483 602**

15. მიწოდების ხარჯები

კომპანიის მიწოდების ხარჯები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 მდგომარეობით შემდეგია:

	2 022	2 021	2 020
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	1 497 118	789 936	361 450
სულ	**1 497 118**	**789 936**	**361 450**

16. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

კომპანიის სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 მდგომარეობით შემდეგია:

არასაოპერაციო შემოსავლები	**2 022**	**2 021**	**2 020**
არასაოპერაციო მოგება	4 520	-	108 512
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	105 413	61 678	43 590
შემოსავალი ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან	5 864	9 969	-
სულ	**115 797**	**71 647**	**152 102**

არასაოპერაციო ხარჯები	**2 022**	**2 021**	**2 020**
ჯარიმები და საურავები	4 144	3 407	2 217
სხვა არა საოპერაციო ხარჯი	96 460	51 207	51 468
ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან	19 947	15 054	3 746
აუდიტის აქტით დარიცხული	22 491	-	-
კონვერტაცია	15 724	-	-
სულ	**158 766**	**69 668**	**57 431**

17. ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 მდგომარეობით შემდეგია:

ფინანსური შემოსავალი	**2 022**	**2 021**	**2 020**
საპროცენტო შემოსავლები	163 139	96 556	-
სულ	**163 139**	**96 556**	-

ფინანსური ხარჯი	**2 022**	**2 021**	**2 020**
საპროცენტო ხარჯები	957	-	8 772
სესხის პროცენტი	53 991	-	-
სულ	**54 948**	**-**	**8 772**

18.. საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საკუთარი კაპიტალი

	31,12,2022	31.12.2021	31.12.2020
კაპიტალი შპს-ში	200	200	200
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	6364536	7808121	6404416
	6364736	7808321	6404616

18. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობასაქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მეტიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშიღებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

20. ფინანსური რისკი

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

რისკის მართვის ფუნქცია კომპანიის შიგნით ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს(სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და სხვა ფასთა რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის პირველადი მიზნებიარის რისკების ლიმიტების დადგენა, და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკების საფრთხე ამ ლიმიტის ფარგლებში დარჩეს. საოპერააციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქცია არის შიდა პოლიტიკების და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა საოპერაციო და იურიდიული რისკები მინიმუმამდე დავიდეს.

20.. ფინანსური რისკი(გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას რომ კომპანია ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	46 598	2 583 999	3 419 173
ფული ბანკში	2 724 803	2 597 535	742 606
სულ ლიკვიდური აქტივები	**2 771 401**	**5 181 534**	**4 161 779**
სავაჭრო ვალდებულებები	(2 503 653)	(4 311 915)	(2 303 389)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**(2 503 653)**	**(4 311 915)**	**(2 303 389)**
წმინდა დადებითი პოზიცია	**267 748**	**869 619**	**1 858 390**

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან სახსრები განთავსებულია კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებში.

კომპანიის მენეჯმენტი განიხილავს გადაუხდელი სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობის ანალიზს და მიჰყვება ვადაგადაცილებულ ბალანსებს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკების მიმართ მგრძნობელობა დაფუძნებულია ერთი ფაქტორის ცვლილებაზე ყველა სხვა ფაქტორების მუდმივად შენარჩუნების ფონზე. პრაქტიკაში ეს ნაკლებად სავარაუდოა რომ მოხდეს და ზოგიერთი ფაქტორის ცვლილება შესაძლოა იყოს კორელაცია - მაგალითად, ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში და ცვლილებები უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას არ წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე.

კომპანიის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიბმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე, შედეგად კომპანიას მინიმუმამდე აქვს დაყვანილი საპროცენტო რისკი ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან მიმართებაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, კომპანიის ვალდებულებების გადახდისუნარიანობას. კომპანია ფრთხილად მართავს ლიკვიდურობას, რაც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ეკვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო თანხები.

***20. ფინანსური რისკი** (გაგრძელება)*

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი მოიცავს ჩვეულებრივ საწესდებო კაპიტალს და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება/ზარალი. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი როლი, როგორც კორპორატიული ხელმძღვანელების, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელებისთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:
უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს აქციონერებისათვის სარგებლის მოტანა; და
გამოიმუშაოს აქციონერებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ბაზირებულია საქართველოში.ვინაიდან ქვეყანაში ბიზნეს გარემოზე მოქმედი კანონმდებლობა სწრაფად იცვლება, პოლიტიკურ და ბიზნეს გარემოში უარყოფითმა ცვლილებებმა შეიძლება რისკქვეშ დააყენოს კომპანიის აქტივები და ოპერაციები.

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს გავითარებულ ბაზრებზე, მათ შორის ეკონომიკური, საგადასახადო, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტიანობაზე, საკანონმდებლო რეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

21..ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტოროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

21..ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

კომპანიის ოპერაციები დაკავშირებულ მხარეესთან.

დაკავშირებული მხარის დასახელება	ტიპი	ოპერაციის ტიპი 2022 წლის განმავლობაში	აღწერა	თანხა
შპს ნიშნული	ანგ.1410 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახ.	საიჯარო მომსახურეობა		343133,24
		მასალებისრეალიზაცია		93793
			ჯამი	436926,24
	ანგ.3110 ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახ.	საიჯარო მომსახურეობა		33076
		შეძენილი მასალები		3397170,11
			ჯამი	3430246,11

ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

წამყვანმა ხელმძღვანელობამ 2022 და 2021 წლების განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია ხელფასები კატეგორიაში.

	2022	2021
ხელმძღვანელობის ხელფასები	90000	91200
ხელმძღვანელობის ბონუსი	617827,20	212975
სულ	707527,20	304175

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიაში შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 3.05.2023 წლის #9699 ბრძანების საფუძველზე ჩატარდა კომპანიის გასვლითი საგადასახადო შემოწმება .
30.06.2023 წლის შემოწმების საფუძველზე კომპანიას დამატებით გადასახდელად დაერიცხა 26203 ლარი, მათ შირის ძირითადი გადასახადი 21845 ლარი , ჯარიმა 4358 ლარი. 2022 წელს კომპანიაში სხვა ისეთ მოვლნებებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას ადგილი არ ჰქონია.

გიგა ფალიანი	მარინა გორდაძე
დირექტორი	**ბუღალტერი**

21..ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

კომპანიის ოპერაციები დაკავშირებულ მხარეესთან.

დაკავშირებული მხარის დასახელება	ტიპი	ოპერაციის ტიპი 2022 წლის განმავლობაში	აღწერა	თანხა
შპს ნიშნული	ანგ.1410 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახ.	საიჯარო მომსახურეობა		343133,24
		მასალებისრეალიზაცია		93793
			ჯამი	436926,24
	ანგ.3110 ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახ.	საიჯარო მომსახურეობა		33076
		შეძენილი მასალები		3397170,11
		.	ჯამი	3430246,11

ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

წამყვანმა ხელმძღვანელობამ 2022 და 2021 წლების განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია ხელფასები კატეგორიაში.

	2022	2021
ხელმძღვანელობის ხელფასები	90000	91200
ხელმძღვანელობის ბონუსი	617827,20	212975
სულ	707527,20	304175

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიაში შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 3.05.2023 წლის #9699 ბრძანების საფუძველზე ჩატარდა კომპანიის გასვლითი საგადასახადო შემოწმება .
30.06.2023 წლის შემოწმების საფუძველზე კომპანიას დამატებით გადასახდელად დაერიცხა 26203 ლარი, მათ შირის ძირითადი გადასახადი 21845 ლარი , ჯარიმა 4358 ლარი. 2022 წელს კომპანიაში სხვა ისეთ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას ადგილი არ ჰქონია.

გიგა ფალიანი
დირექტორი

მარინა გორდაძე
ბუღალტერი

მმართველობითი ანგარიშგება

ორგანიზაციის დასახელება: შპს „ დაგი + “

ხელმძღვანელის თანამდებობა, სახელი, გვარი: დირექტორი გიგა ფალიანი

საიდენტიფიკაციო ნომერი: 412671657

იურიდიული და ფაქტიური მისამართი: ქ. ქუთაისი, წერეთლის ქუჩა 192

ელექტრონული მისამართი: ltddagi2010@gmail.com

შპს „ დაგი + “ დაარსდა 2010 წელს და მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საავტომობილო გზების და მასზე განლაგებული ყველა ხელოვნური ნაგებობის მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის სამუშაოები.

კომპანია მონაწილეობას იღებს სახელმწიფო ტენდერებში და მოგებული ტენდერების ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს სამუშაოებს. მას საკუთრებაში გააჩნია 100 ერთეულამდე მანქანა-მექანიზმი რომელთა საშუალებითაც ახორციელებს სამუშაოებს, ასევე გააჩნია ბეტონის მობილური ქარხანა და ქვის სამსხვრევი დანადგარები, მუდმივად დასაქმებულია 109 კვალიფიციური თანამშრომელი, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში პროექტის სირთულის მიხედვით ხდება ბრიგადების დამატება რათა პროექტი ხელშეკრულების შესაბამის ვადებში დასრულდეს.

კომპანიის მიზანია მისი შესრულებული სამუშაო იყოს ხარისხიანი და მშენებლობის სფეროში დაიმკვიდროს წარმატებული კომპანიის სახელი, ამის მისაღწევად ყოველწლიურად ხდება ახალი მანქანა-მექანიზმების შეძენა ან ძველის ახლით ჩანაცვლება, აგრეთვე მაღალკვალიფიციური კადრების დამატება, რათა სამუშაოები უფრო მაღალი ტემპითა და ხარისხით შესრულდეს. ეს ჩანს კიდეც კომპანიის ბრუნვებში, რომელიც ყოველ მომდევნო წელს საგრძნობლად იზრდება წინა წელთან შედარებით, ასევე 2022 წლიდან კომპანია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თეთრ სიაშია.

„ დაგი + “-ის სახელთანაა დაკავშირებული ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება. მათ შორისაა:

- ✓ რაჭისა და იმერეთის რეგიონების დამაკავშირებელი გზის მშენებლობაში,

საჩხერე-ქვემო ხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდალის საავტომობილო გზის კმ48,6-კმ52,3 მონაკვეთის (ლოტი VII) სარეაბილიტაციო სამუშაოები

- ✓ ქუთაისი - ბაღდათი - აბასთუმანი - ბენარას საავტომობილო გზის კაკასხიდი-ზეკარის კმ1 - კმ10 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები
- ✓ ქუთაისი(ჭომა)-ალპანა-მამისონის უღელტეხილის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ105 - კმ127+100 მონაკვეთზე და ონის მუნიციპალიტეტის არეალში სტიქიის შედეგად დაზიანებული ცალკეული მონაკვეთების აღდგენის სამუშაოები

ყველაზე მნიშვნელოვანი ხელშეკრულების განხორციელება კომპანიამ 2023 წელს დაიწყო, გაიმარჯვა ტენდერში ღირებულებით 66 700 000 ლარი, რომლის ფარგლებშის მოხდება გომბორის უღელტეხილის სრული რეაბილიტაცია. პროექტის შესაბამისად, გათვალისწინებულია გზის სავალი ნაწილის სრული რეაბილიტაცია, ახალი წყალგამტარი მილებისა და რკინაბეტონის ქვედა და ზედა საყრდენი კედლების მოწყობა; ასევე გატარდება მეწყერ საწინააღმდეგო ღონისძიებები, შეკეთდება ტროტუარი, მოეწყობა მიერთებები და მოსახლეობის ეზოებში შესასვლელები, ავტობუსის გასაჩერებელი მოედნები და ავტო პავილიონები, ჩატარდება საგზაო ნიშნების მოწყობისა და გზის ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოები. დასრულება 2024 წლის შემოდგომაზე იგეგმება.

გიგა ფალიანი	მარინა გორდაძე
დირექტორი	**ბუღალტერი**

საჩხერე-ქვემო ხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდალის საავტომობილო გზის კმ48,6-კმ52,3 მონაკვეთის (ლოტი VII) სარეაბილიტაციო სამუშაოები

- ✓ ქუთაისი - ბაღდათი - აბასთუმანი - ბენარას საავტომობილო გზის კაკასხიდი-ზეკარის კმ1 - კმ10 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები
- ✓ ქუთაისი(ჭომა)-ალპანა-მამისონის უღელტეხილის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ105 - კმ127+100 მონაკვეთზე და ონის მუნიციპალიტეტის არეალში სტიქიის შედეგად დაზიანებული ცალკეული მონაკვეთების აღდგენის სამუშაოები

ყველაზე მნიშვნელოვანი ხელშეკრულების განხორციელება კომპანიამ 2023 წელს დაიწყო, გაიმარჯვა ტენდერში ღირებულებით 66 700 000 ლარი, რომლის ფარგლებშის მოხდება გომბორის უღელტეხილის სრული რეაბილიტაცია. პროექტის შესაბამისად, გათვალისწინებულია გზის სავალი ნაწილის სრული რეაბილიტაცია, ახალი წყალგამტარი მილებისა და რკინაბეტონის ქვედა და ზედა საყრდენი კედლების მოწყობა; ასევე გატარდება მეწყერ საწინააღმდეგო ღონისძიებები, შეკეთდება ტროტუარი, მოეწყობა მიერთებები და მოსახლეობის ეზოებში შესასვლელები, ავტობუსის გასაჩერებელი მოედნები და ავტო პავილიონები, ჩატარდება საგზაო ნიშნების მოწყობისა და გზის ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოები. დასრულება 2024 წლის შემოდგომაზე იგეგმება.

გიგა ფალიანი	მარინა გორდაძე
დირექტორი	**ბუღალტერი**